

გიორგი გაბუნია



შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

გ. ი. ბაქრაძის

ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის
შემდგომი შავსეზა-სრულყოფისათვის
(1819-1921 იანვ. თაზ.)

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა



გიორგი გაბუნია

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

გ. ი. ზაქრაძის „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის“ შემდგომი
შევსება–სრულყოფისათვის
(1819-1921 იანვ./თებ.)

თბილისი

2017

წინამდებარე გამოკვლევაში შესწორებულია 1947 წელს გამოცემული გიორგი ბაქრაძის „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის“ პირველ ნაწილში (1819-1921 იანვ./თებ.) დაშვებული შეცდომების, უზუსტობებისა და ლაფსუსების აბსოლუტური უმრავლესობა. დადგენილია ის პერიოდული ორგანოები, რომლებიც შეტანილ უნდა იქნან ხსენებულ ბიბლიოგრაფიაში. ამასთან ერთად, გარკვეული და დაზუსტებულია იმ ჟურნალ-გაზეთების, ალმანახებისა და კრებულების, ერთგვარი, ნუსხა, რომელთაც ადგილსამყოფელად უნდა მიეთითოთ საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა (სპეზ).

რედაქტორი: გიორგი კეკელიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: თათია მერლანი
მანანა ზარამიძე

ტექნიკური რედაქტორი: თეიმურაზ კურტანიძე

დამკაზადონებელი: გიორგი ყველაიძე

ISBN 978-9941-0-8953-4

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
© გიორგი გაბუნია

გიორგი გაბუნიას წინამდებარე ნაშრომი ფუნდამენტური ხასიათისაა. მეცნიერის ნიჭი და უნარები განაპირობებს მასალის სკრუპულოზურობას. გიორგი ზაქრამის ცნობილ ბიბლიოგრაფიულ კრებულში, როგორც ავტორი აღნიშნავს, ნებსით თუ უნებლიეთ, დაშვებულ უზუსტობებს აუცილებლად სჭირდებოდა ასეთი თვალი და ხელი. მით უფრო, ეპოქა, რომელსაც გიორგი გაბუნია ამუშავებს, განსაკუთრებით პერიოდიკა, აუცილებლად საჭიროებს ახალ მზერას. თითქოს მიგვავიწყდა ეს საოცარი, უმნიშვნელოვანესი პერიოდი, რომელიც ნამდვილ ევროპულ დებატს, პუბლიცისტიკას და ანალიზს გულისხმობს. ეს ნამუშევარი აუცილებელი გზამკვლევაა სტუდენტებისთვის, მეცნიერებისთვის თუ უზრალოდ 1819-1921 წლების პერიპეტეებით დაინტერესებული ადამიანებისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა მოხარულია ავტორთან თანამშრომლობით და იმედი გვაქვს, მალე გიორგი გაბუნიას სხვა ნაშრომებსაც შემოგთავაზებთ.

გიორგი კველიძე

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის
სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის
გენერალური დირექტორი

2001 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ სამეცნიერო კრებულში „ჟურნალისტური ძიებანი. I“, სხვა წერილებთან ერთად, დაბეჭდილია ჩემი პუბლიკაციაც, სათაურით „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის“ სრულყოფისთვის“ (იხ.: გვ. 168-171), რომლის შესავალშიც ხაზგასმით მაქვს აღნიშნული, რომ: „გ. ბაქრაძის მიერ შედგენილი კრებული „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია. 1819-1945“, რომელიც 1947 წელს იქნა გამოცემული, იმთავითვე იმ სამაგიდო წიგნად იქცა, რომელსაც XIX საუკუნისა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში არსებულ ქართულ ჟურნალ-გაზეთებზე მომუშავე ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუქცევს. ამდენად, ნახევარი საუკუნის წინად გამოქვეყნებული ეს კრებული ქართული პრესისა და ჟურნალისტიკის საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის დღესაც ერთ-ერთ უმთავრეს გზამკვლევეს წარმოადგენს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ამ, შეიძლება ითქვას, უკვე საკმაოდ, „ასაკოვან“ კრებულში, მისი შემდგომი დახვეწისა და სრულყოფის მიზნით, ნებისმიერი შესწორების შეტანა სკრუპულოზურ დაკვირვებასა და მაღალპროფესიულ მიდგომას მოითხოვს, რათა თავიდან იქნას აცილებული რაიმე ლაფსუსისა და აშკარა უზუსტობის ყოველგვარი პრეცედენტი“ (გვ. 168).

ზემოხსენებული ჩემი პუბლიკაციით ბიბლიოგრაფებსა და საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტებს გავაცანი გიორგი ბაქრაძის აღნიშნულ ფუნდამენტურ ბიბლიოგრაფიულ ნაშრომში, ნებსით თუ უნებლიეთ, დაშვებული შეცდომების, ლაფსუსებისა და კორექტურის ერთი ნაწილი, სულ - 32 უზუსტობა.

2014 წელს სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ჩემი მორიგი კრიტიკული წერილი, სათაურით „რამდენიმე შენიშვნა „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში“ დაშვებული ზოგიერთი უზუსტობის შესახებ“ (იხ.: №4, გვ. 41-42), რომელშიც მითითებული მაქვს დასახელებული ბიბლიოგრაფიულ კრებულში დაფიქსირებული კიდევ ხუთი შეცდომა.

ვინაიდან „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის“ შექმნის ისტორიისა და მისი, ერთგვარი, „თავგადასავლის“ შესახებ საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის საქართველოში ნაბეჭდი და ელექტრონული გამოცემების საარქივო ფონდის განყოფილების უფროსმა, ქალბატონმა მაია მიქაბერიძემ ზემოაღნიშნულ ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ 2015 წლის მე-3 ნომერში გამოაქვეყნა მაღალკვალიფიციურად დაწერილი მეტად საინტერესო სტატია „დაახლოებული ლორიას მიერ მისთვის ჩვეული პროფესიული და მეცნიერული ალლოთი გააზრებული გამოხმაურება, სათაურით „რედაქტორისაგან“ (იხ.: გვ. 14-16), ამიტომ სიტყვას ადარ გავაგრძელებ და პირდაპირ გადავალ ჩემს უშუალო სათქმელზე.

„ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის“ ავტორიანობის თაობაზე ჩვენში, სულ რაღაც, ორიდენ კრიტიკული შეფასება თუ მოიპოვება და ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი (თუ არა ერთადერთი) სერიოზული რეცენზია ეკუთვნის ცნობილი ეკონომისტს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ქართული ჟურნალისტიკის შესახებ არაერთი კვალიფიციური გამოკვლევის ავტორს, პროფესორ პაატა გუგუშვილს, რომელმაც 1948 წელს ჟურნალ „მნათობში“ დაბეჭდა კრიტიკული წერილი „გ. ი. ბაქრაძე – ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია. 1819-1945 წწ.“ (იხ.: №5, გვ. 171-174). იმ მიზნით, რომ გამოეორება არ გამომოვიდეს და თანაც, ყველა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა მიეცეს, რაც შეიძლება, სადად და ობიექტურად განსაზღვროს და შეაფასოს წინამდებარე გამოცემის ღირსება–ნაკლოვანებანი, მიზანშეწონილად ვცანი მასში პაატა გუგუშვილის ხსენებული რეცენზიიდან, საკმაოდ, ვრცელი შემდეგი ფრაგმენტის უკომენტაროდ ჩართვა:

– „ბიბლიოგრაფიული კრებულები თავისებური მეგზურებია, რომლებიც გვინათებენ მეცნიერულად შესასწავლ ლიტერატურულ მასალებთან მისასვლელ გზებს და ბეჭდვითი სიტყვის საგანძურის უდიდესი მასიდან გვიჩვენებენ ჩვენთვის საინტერესო სპეციალურ საკითხებზე არსებულ წყაროებს. ამით განუზომლად გვიადვილებენ საქმეს და, მაშასადამე გვეხმარებიან შრომის მწარმოებლობაში. რა თქმა უნდა, მით უფრო საპასუხისმგებლო და რთულია ბიბლიოგრაფიული მუშაობა ...

ამგვარი სამუშაოს შესრულება მით უფრო ძნელი იყო, რომ აღებული პერიოდის ქართული პერიოდიკა თავმოყრილია არა ერთს რომელიმე წიგნთსაცავში, არამედ გაფანტულია საქართველოს სხვადასხვა ქალაქების ბიბლიოთეკებში, სადაც მათი შესწავლა, შემოწმება და სხვა სამუშაოები, ცხადია, დიდ ჯაფასა და გულმოდგინებას მოითხოვდა ...

გ. ბაქრაძეს, გარდა მისთვის ხელმისაწვდომ ბიბლიოთეკებში დაცული ორგანოებისა, თავის წიგნში შეუტანია ცნობები ისეთ პერიოდულ გამოცემათა შესახებაც, „რომლებიც დღეს ბიბლიოთეკებში არ მოიპოვება“, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ შემდგენლისათვის ჯერჯერობით არ იყო გამოვლინებული. ასეთი ორგანოების შესახებ ცნობები მას ამოუღია „კავკასისა“ და სხვა გაზეთების ქრონიკებიდან.

მიუხედავად ყოველივე ამისა, და შემდგენელიც ამაში გვეთანხმება, სრულებით არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ თვით მის მიერ შესწავლილ წიგნთსაცავთა ფონდებშიაც აღმოჩნდეს ისეთი ორგანოები, რომლებიც „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში“ ან სულ არ არიან მოხსენიებული, ანდა მთლიანად და ამომწურავად არ არიან აღწერილი.

ისეთ წიგნში, როგორცაა „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია“, რა თქმა უნდა, სრული ამომწურველობის პრეტენზია, და ისიც პირველ გამოცემაში ავტორსაც არ შეიძლება ჰქონდეს. გარდა თვით პერიოდულ ორგანოთა სისრულით აღრიცხვაში მოსალოდნელი ხარვეზებისა, არაა გამორიცხული ზოგიერთი უზუსტობანი თვით დასახელებულ ორგანოთა აღწერაშიც, მაგალითად, გამოცემისა და დახურვის თარიღების, გამოცემული ნომრების რაოდენობისა და სხვ.

ამ მხრივ დავასახელებთ ზოგიერთ შემჩნეულ დეფექტებს, რაც, ვფიქრობთ, დაეხმარება ავტორს საკითხზე შემდგომ მუშაობაში:

№69. გაზ. „მიწას“ უკანასკნელი ნომერი (19) გამოცემა არა 1907 წლის 21 აპრილს, როგორც „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში“ ნაჩვენებია, არამედ 1908 წლის 13 იანვარს (№2), ე.ი. ეს გაზეთი გამოიცემოდა მომდევნო წელსაც.

№75. გაზ. „გზას“ უკანასკნელი ნომერი (6) გამოცემა არა პირველ იანვარს, არამედ 3 იანვარს (№7) 1907 წლისა.

№121. გაზ. „ცხოვრების სარკე“ უკანასკნელი ნომერი (24 და არა 23) გამოცემა არა 20, არამედ 21 მაისს 1908 წლისა.

№157. გაზ. „ჩვენი საქმეს“ 1909 წ. უკანასკნელი ნომერი, როგორც ჩანს, ყოფილა არა 37, არამედ 38 – (19 აპრილს).

№205. გაზ. „საქმეს“ 1910 წ. უკანასკნელი ნომერიც არაა სწორად ნაჩვენები, იგი, 47, გამოცემა 21 ნოემბერს.

№206. გაზ. „სინათლეს“ უკანასკნელი ნომერი იყო არა 9, არამედ 122 და ეს გაზეთი გამოდიოდა არა 11 იანვრამდე, არამედ 1911 წლის 29 სექტემბრამდე.

№242. გაზ. „მნათობის“ უკანასკნელი ნომერი (85) გამოცემა არა 23 დეკემბერს, არამედ 30 ნოემბერს (№86).

№401. გაზ. „რევოლუციური ნობათის“ უკანასკნელი ნომერი იყო არა 23, არამედ 73, 1918 წლის 7 ივლისისა.

პერიოდულ ორგანოთა ბიბლიოგრაფიული აღწერისას, დაშვებულია აგრეთვე ანალოგიური ხასიათის სხვა უზუსტობანი, რაც ნაწილობრივ შეიძლება კორექტურული შეცდომითაც აიხსნას (მაგალითად, №№59, 68, 72, 74, 85, 129, 134, 199, 226, 317, 327, 333).

ზოგიერთი ორგანო ალბათ მცირე რაოდენობით, სავსებით არაა მოხსენიებული „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში“. მაგალითად:

გაზ. „ბრძოლის“ ბიულეტენი, „ბრძოლის ფურცლები“, რაც გამოიცემოდა 1902 წელს. გაზ. „თბილისის პროლეტარი“, რუს. სოც. დემ. მუშ. პარტიის თბილისის კომიტეტის ორგანო, რომელიც გამოდიოდა 1910 წელს.

„თბილისის პროლეტარის ფურცელი“, იმავე ორგანიზაციის ორგანო, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1910 წელს 5 აპრილს.

გაზ. „კომუნისტი“ – რკზ (ზ) თბილისის კომიტეტის არალეგალური ორგანო, რომლის გამოცემა დაიწყო 1920 წლის 8 აპრილს (ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ პირველი ნომერი).

მიმოვება სხვა ხასიათის დეფექტებიც. მაგალითად:

№54. გაზ. „ახალი დროება“ 1906 წ. წარმოდგენილია, როგორც „ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი“, ნამდვილად კი ეს იყო ლიბერალურ-ბურჟუაზიული მიმართულების ორგანო.

№79. აღწერილია გაზ. „მნათობი“, 1907 წ. მაგრამ არაა აღნიშნული, რომ ეს არის ბოლშევიკური გაზეთი.

შემდგენელს სხვადასხვა წიგნსაცავთა შორის ძალიან ხშირად აქვს მითითებული „საქართველოს სარევიოლუციო მუზეუმის ბიბლიოთეკა“. ეს ბიბლიოთეკა კი, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1936 წელს შეუერთდა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის ბიბლიოთეკას, რაც ნაწილობრივად და ისიც, როგორც თვითონ აცხადებს, მხოლოდ კატალოგის მიხედვით შეუსწავლია შემდგენელს. ეს გარემოება მით უფრო სამწუხაროა, რომ როგორც სჩანს, სწორედ ამ წიგნსაცავშია დაცული ზოგიერთი პერიოდული გამოცემების სრული კომპლექტი და ზოგიერთი კიდევ ისეთი ორგანოც (მაგ., ზემოთ დასახელებული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში მოუხსენებელი გამოცემები), რომლებიც შემდგენელის მიერ შესწავლილ ფონდებში სრულებითაც არ ყოფილან შემონახულნი. ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ, ჩვენის აზრით, არცთუ იმდენად აუცილებელი იყო მასალათა გეოგრაფიული დალაგებაც მაშინ, როდესაც წიგნს დართული აქვს გეოგრაფიული საძიებელი.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ასეთ გამოცემაში, სანამ გარდა ზ. ჭიჭინაძის ცნობისა სხვა დამადასტურებელი საბუთი არ არის, არ იყო აუცილებელი „ბრძანება და უწყებას“ (1763-1787 წ.წ.) ანდა „ლეკორტის“ შესახებ ლაპარაკი, მით უმეტეს აღწერის სახით ისეთი ობიექტისა, რომელიც კაცს არ უხილავს ...“ (გვ. 172-173).

აი, ასეთია პაატა გუგუშვილის მიერ „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის“ მიმართ გამოთქმული შენიშვნები და სურვილები. ახლა კი, თავს უფლებას მივცემ და მკითხველს გავაცნობ იმ შეცდომებს, უზუსტობებსა და აშკარა ლაფსუსებს, რომლებიც ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგად დავადგინე ხსენებულ ბიბლიოგრაფიულ კრებულში აღწერულ 1819-1921 (იანვ./თებ.) წლამდე გამოცემულ ქართული ჟურნალ-გაზეთების „ბიოგრაფიებში“. ამასთან ერთად, წინამდებარე ნაშრომში შევიტანე ზოგიერთი იმდროინდელი ის ჟურნალ-გაზეთები, რომელთა არსებობაც გ. ბაქრაძეს, რატომღაც, გამორჩა მხედველობიდან, ხოლო იმ მიზნით, რომ ჩემი ამ გამოკვლევისთვის, რაც შეიძლება, სრულყოფილი სახე მიმეცა, საჭიროდ ვგანი და მასში სრულად გავაერთიანე, როგორც პაატა გუგუშვილის მიერ მინიშნებული მოხსენიებული შენიშვნები, ასევე ზემოაღნიშნულ ჩემს ორივე პუბლიკაციაში მოტანილი მთელი მასალაც (ჟურნალ-გაზეთების ნუმერაცია არის „ბაქრაძისეული“, ხოლო ხაზგასმა კი ყველგან ჩემია).

შენიშვნები



2. „საქართველოს გაზეთი“. 1819-1821.

არის: „საქართველოს გაზეთი“ დაცულია სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (1819 წ. №1-43 და 1820 წ. №1) და კ. მარქსის სახელობ. საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში (1880 წ. №20 და 1821 წ. №12).

(გვ. 2).

უნდა იყოს: „საქართველოს გაზეთი“ დაცულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (1819 წ. №1-43 და 1820 წ. №1-51) და საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (1820 წ. №20, 46 და 1821 წ. №12)“.

7. „გუთნის დედა“. 1862-1876. უნდა იყოს: „გუთნის დედა“. 1861-1876.

არის: სულ გამოვიდა:

უნდა იყოს: სულ გამოვიდა:

1861 №1 (15/XII).

1862. №1 (1/I)– №24 (15/XII).

1862 №1 (1/I)-№24 (15/XII).

(გვ.5).

1866. №1(1/I)- №16 (15/VII).

უნდა იყოს: 1866. №1 (1/I)-№24 (15/XII).

(გვ.5).

1867. №1(1/I)- №16 (1/IX)...?

უნდა იყოს: 1867. №1 (1/I)-№24 (15/XII).

(გვ.5).

1870. №1(?)– №24 (დეკ.).

უნდა იყოს: 1870. №1 (1/I)-№24 (15/XII).

(გვ.5).

არის: „პირველი ქართული აგრონომიული ჟურნალი. სახელმძღვანელო აგრონომიული სტატიების გარდა, შეიცავს დიდ მასალას, რომელიც ახასიათებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგომარეობას 70-იან და 80-იან წლებში“.

(გვ. 6).

უნდა იყოს: „პირველი ქართული აგრონომიული ჟურნალი. სახელმძღვანელო აგრონომიული სტატიების გარდა, შეიცავს დიდ მასალას, რომელიც ახასიათებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგომარეობას 60-იან და 70-იან წლებში“.

9. „საქართველოს სასულიერო მახარობელი“. 1864-1868.

არის: „... დ. კარიჭაშვილის თქმით, სულ გამოვიდა: 1864 წ. – ექვსი წიგნი (ივლისიდან–დეკემბრამდე)... 1868 წ. – შვიდი წიგნი. კ. მარქსის სახელ. საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულია შემდეგი ნომრები:

1864 – ივლისი, აგვისტო, სექტ., ოქტომბ., და ნოემბ.“

(გვ. 6).

უნდა იყოს: „... დ. კარიჭაშვილის თქმით, სულ გამოვიდა: 1864 წ. – ექვსი წიგნი (ივლისი–დეკემბერი)... 1868 წ. – შვიდი წიგნი. საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულია შემდეგი ნომრები:

1864 – ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბერი“.

10. „დროება“. 1866-1885.

არის: 1867 წ. №1(?)–№52(?).

(გვ. 7).

1874 წ. №1(?)–№50(?) (№№405-454).

(გვ. 7).

1882 წ. №1(?)–№273(?).

(გვ. 7).

უნდა იყოს: 1867 წ. №1 (6/1)–№52 (29/XII).

უნდა იყოს: 1874 წ. №405 (4/1)–№454 (20/XII).

უნდა იყოს: 1882 წ. №1 (1/1)–№273 (30/ XII).

11. „სასოფლო გაზეთი“. 1868-1880.

არის: 1869 წ. №1(?)–№23(?).

არის: 1880 წ. №1(?)...?

(გვ. 7).

უნდა იყოს: 1869 წ. №1(11/1)–№25(6/XII).

უნდა იყოს: 1880 წ. №1 (26/II).

12. „მნათობი“. 1869-1872.

არის: 1872 წ. №№1 (იანვ.), 2, 3, 4-5, 6-7, 8-9, 10-11 (დეკ.).

(გვ. 7).

უნდა იყოს: 1872 წ. იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი და მაისი, ივნისი და ივლისი, აგვისტო და სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბერი.

14. „ივერია“. 1877-1885.

არის: 1877 წ. №1 (3/III)–№44(?).

(გვ. 8).

არის: „...ე.ი. „ივერია“ 1887-1885 (ჟურნალი)...“ უნდა იყოს: „... 1877-1885 (ჟურნალი)...“

(გვ. 8).

უნდა იყოს: 1877 წ. №1 (3/III)–№44 (29/ XII).

16. „შრომა“. 1881-1883.

არის: 1883 წ. №1(5/1)–№24(23/VI).

(გვ. 9).

უნდა იყოს: 1883 წ. №1(5/1)–№25(30/VI).

18. „მწყემსი“. 1883-1910.

არის: 1886 წ. №1(?)–№26-27(?).

(გვ. 9).

უნდა იყოს: 1886 წ. №1 (1/1)–№34 (10/ XII).

1890 წ. №1(?)–№23-24.

(გვ. 9).

უნდა იყოს: 1890 წ. №1 (15/1)–№23-24 (1-30/XII).

1891 წ. №1(?)–№24(?).

(გვ. 9).

უნდა იყოს: 1891 წ. №1 (15/1)–№24 (30/XII).

1897 წ. №1-2(30/1)–№4 (28/II)...?

(გვ. 9).

უნდა იყოს: 1897 წ. №1-2 (1-30/1)–23-24 (30/XII).

1898 წ. №1(?)–№23-24 (30/XII).

(გვ. 9).

უნდა იყოს: 1898 წ. №1 (15/1)–№23-24 (31/XII).

1899 წ. №1(?)–№22 (30/XI)...?

(გვ. 9).

უნდა იყოს: 1899 წ. №1 (15/1)–№23-24 (1-30/XII).

1900 წ. №1-2(30/1)–№21 (15/XI)...?

(გვ. 9).

უნდა იყოს: 1900 წ. №1-2 (1-30/1)–№23-24 (15-30/XII).

1903 წ. №1(?)–№15-16 (30/VIII)...?

(გვ. 9).

უნდა იყოს: 1903 წ. №1-2 (1-30/1)–№24 (30/XII).

1904 წ. №1(?)–№23-24 (31/XII).


(გვ. 9).

უნდა იყოს: 1904 წ. №1-2 (1-30/1)–№23-24 (15-31/XII).

1906 წ. №1(?)–№23-24 (30/XII).

(გვ. 9).

უნდა იყოს: 1906 წ. №1-2 (15-30/1)–№23-24 (30/XII).



1907 წ. №1(?)–№22(?).

უნდა იყოს: 1907 წ. №1-2 (30/I)-№24 (30/XII).

(გვ. 9).

არის: „თით. 12 გვ. ან 16 გვ. ...“

უნდა იყოს: 1897 წ. №23-24 (30/XII)–24 გვ.: 1898 წ.

(გვ. 9).

№23-24 (31/XII)–24გვ.

21. „თეატრი“. 1885-1890.

არის: 1887 წ. №1 (იანვ.)–№13-14 (აპრ.).

უნდა იყოს: 1887 წ. №1 [11/I]– №13-14 (26/IV).

(გვ. 10).

1888 წ. №15(?)–№50 (25/XII).

უნდა იყოს: 1888 წ. №15 (8/V)–№50 (25/XII).

(გვ. 10).

1890 წ. №1(?)–№15(?).

უნდა იყოს: 1890 წ. №1(1/I)– №15(12/IV).

(გვ. 10).

22. „ივერია“. 1886-1906.

არის: 1888 წ. №1-№279.

უნდა იყოს: 1888 წ. №1(1/I)–№276 (31/XII).

(გვ. 11).

1890 წ. №1-№277.

უნდა იყოს: 1890 წ. №1(1/I)–№277(30/XII).

(გვ. 11).

1896 წ. №1-№103(17/V).

უნდა იყოს: 1896 წ. №1(1/I)–№103(17/V).

(გვ. 11).

1897 წ. №1-№271.

უნდა იყოს: 1897 წ. №1(17/I)–№271(31/XII).

(გვ. 11).

1901 წ. №1-№283.

უნდა იყოს: 1901 წ. №1(1/I)–№283(30/XII).

(გვ. 11).

1905 წ. №1-№224.

უნდა იყოს: 1905 წ. №1(1/I)–№23(13/II); №1(17/II)–№224(11/ XII).

(გვ. 11).

ე.ი. სულ გამოვიდა 247 ნომერი*

1906 წ. №1-№26(27/VIII).

უნდა იყოს: 1906 წ. №1(5/III)–№26(27/VIII).

(გვ. 11).

1886-1906 წლებში გამოცემულ გაზეთ „ივერიის“ ყველა დანარჩენ პირველ ნომერს უნდა მიეთითოს: №1(1/I), ხოლო უკანასკნელ ნომერს – (31/XII).

23. „ცისკარი“. 1887.

არის: 1887 წ. №1-№23.

უნდა იყოს: 1887 წ. №1(1/I)–№23(21/V).

(გვ. 11).

25. „საქართველოს კალენდარი“. 1888-1898, 1903-1905.


არის: „ივერია და წელიწადულის სახით...სულ გამოვიდა 14 წიგნი“.

ხსენებული გამოცემის ეგზემპლარების ადგილსამყოფელად ბიბლიოგრაფიაში მითითებულია: (უნ: საქ. მუხ: საქ.)

(გვ. 12).

* ეს ლაფსუსი დაწვრილებით მაქვს განხილული კრიტიკულ წერილში „რამდენიმე შენიშვნა „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში“ დაშვებული ზოგიერთი უზუსტობის შესახებ“ (იხ.: „საქართველოს ბიბლიოთეკა“, №4, 2014, გვ. 41-42).

სამწესხაროდ, „საქართველოს კალენდრის“ 1894 წლის გამოცემა (რიგით VII), და ისიც მართოდენ ფოტოგირის სახით, ამჟამად დაცულია მხოლოდ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემებათა ფონდში.



26. „მეურნე“. 1888-1898.
არის: 1891 წ. №1 (9/1)-№22 (15/ XII). უნდა იყოს: 1891 წ. №1(9/1)-№10(12/V); №10-22(15/ XII).

(გვ. 12). ეს უკანასკნელი ერთი ნომერია და არის 32 გვ.
№3(23/II) არის 6 გვ.

28. „ჯეჯილი“. 1890-1920, 1922-1923.
არის: 1904 წ. №1-12. უნდა იყოს: 1904 წ. №1; №10-12.

(გვ. 13).
არის: 1906 წ. №1 – №3...? უნდა იყოს: 1906 წ. №1 – №3.
(გვ. 13).
1907 წ. №1-12. უნდა იყოს: 1907 წ. №4-12.
(გვ. 13).

37. „მოგზაური“. 1901-1904.
არის: 1904 წ. №1(იანვ.) – №8...? უნდა იყოს: 1904 წ. №1(იანვ.) – №7/8(VII/VIII).
(გვ. 16).

39. „პროლეტარიატის ბრძოლა“. 1903-1905.
არის: „...გაზეთი გამოდიოდა 1903 წ-დან 1905 წლამდე...“
(გვ. 16).

უნდა იყოს: „...გაზეთი გამოდიოდა 1903-დან 1905 წლის ჩათვლით (ან: 1903-1905 წლებში)...“

„ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში“ ამ გაზეთის გამოცემული ნომრებისა და მათი გამოსვლის თარიღების შესახებ ინფორმაცია მოცემული არ არის.

გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა“ იყო 1901-1902 წლებში გამოცემული გაზ. „ბრძოლის“ გაგრძელება, რომლის უკანასკნელი ნომერიც (№4) გამოვიდა 1902 წლის დეკემბერში. აქედან გამომდინარე, „პროლეტარიატის ბრძოლა“ ასე უნდა იქნას აღწერილი:

- 1903 წ. №5-6(11(24)/V).
- 1904 წ. №7(1(14)/IX).
- 1905 წ. №8(1(14)/I) – №12(15(28)/X).


ამდენად, 1903-1905 წლებში სულ გამოვიდა „პროლეტარიატის ბრძოლის“ 7 ნომერი და არა 12 ნომერი, როგორც ეს მითითებულია „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში“ (იხ.: გვ. 16).

40. „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“. 1903-1905.
არის: „...გაზეთი გამოდიოდა ...1903-დან 1905 წლამდე...“
(გვ. 18).

უნდა იყოს: „...გაზეთი გამოდიოდა ...1903-დან 1905 წლის ჩათვლით (ან: 1903-1905 წლებში)...“

„ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში“ ამ გაზეთის გამოცემული ნომრებისა და მათი გამოსვლის თარიღების შესახებ ინფორმაცია მოცემული არ არის.

- უნდა იყოს: 1903 წ. №3(14/I) – №4 (X).
1904 წ. №5-6.(15(28)/I) – №14 (10(23)/XI).
1905 წ. (?).



45. „ნაკადული“. 1904-1906.
არის: 1906 წ. წიგნი I (თებერვ.); 21,16 გვ.
 (გვ. 19).
უნდა იყოს: 1906 წ. წიგნი I (თებერვ.); 22 გვ. წიგნი II (აპრილი); 36 გვ.
 I წიგნს დართული აქვს: გერბერტ სპენსერი, „აღზრდა გონებრივი, ზნეობრივი და ფიზიკური. თარგმ. პ. სურგულაძისა“, ტფ., 1906, 16 გვ. (აკლია ბოლო გვერდი ან გვერდები).
50. „სოციალ-დემოკრატიული ფურცელი“. 1905.
 (გვ. 20).
უნდა იყოს: „სოციალ-დემოკრატიული ფურცელი“. 1905-1906.
59. „ლამპარი“. 1906.
არის: 1906 წ. №1 (19/IV)-№54 (1/VI). უნდა იყოს: 1906 წ. №1 (19/IV)-№54 (1/VII).
 (გვ. 21).
64. „გლეხი“. 1906.
არის: 1906 წ. №1(22/VI)-№7(3/VII). უნდა იყოს: 1906 წ. №1(22/VI)-№7(3/VIII).
 (გვ. 21).
66. „ტალღა“. 1906.
არის: „სოც.-დემოკრ. პარტიის ორგანო. იცემოდა ნაცვლად ხელისუფლების მიერ დახურული გაზეთის „სინათლე“-სი: (1906)“.
 (გვ. 21).
უნდა იყოს: „სოც.-დემოკრ. პარტიის ორგანო. იცემოდა ...გაზეთის „სიმართლე“-სი: (1906)“.
68. „გრიგალი“. 1906.
არის: 1906 წ. №1(9/IX)-№16(26/IX)...? უნდა იყოს: 1906 წ. №1(9/IX)-№16(29/IX).
 (გვ. 22).
69. „მიწა“. 1906-1907. უნდა იყოს: 1906-1908.
 (გვ. 22).
 1908 წ. №1(1/I)-№2(13/I). თით. 16 გვ. in 4°.
- 1907 წლის №17(1/V) არის 4 გვ. 1906-1907 წლებში გამოსული „მიწის“ ყველა დანარჩენი ნომერი (სულ - 34 ნომერი) არის 16 გვ.
70. „მასხარა“. 1906 (?). უნდა იყოს: 1907.
არის: 1906 წ. №1, №2. უნდა იყოს: 1907 წ. №1, №2.
 (გვ. 23).
72. „წინ“. 1906-1907.
არის: 1906 წ. №1(8/X)- №2(9/XII)...? უნდა იყოს: 1906 წ. №1(8/X)- №3(10/XII).
 (გვ. 23).
 1907 წ. №1(9/II)- №26(16/III)...? უნდა იყოს: 1907 წ. №1 (26/I)- №26 (16/III).
 (გვ. 23).
73. „ახალი დროება“. 1906-1907.
არის: 1907 წ. №8(2/I)- №9(8/I). უნდა იყოს: 1907 წ. №8(1/I)- №9(8/I).
 (გვ. 23).

74. „ზარი“. 1906-1907.
არის: 1907 წ. №6(2/I)– №8(8/I).
(გვ. 23).
უნდა იყოს: 1907 წ. №6(2/I)– №8(9/I).
75. „გზა“. 1906-1907.
არის: 1907 წ. №6(1/I).
(გვ. 23).
უნდა იყოს: 1907 წ. №6(1/I)– №7(3/I).
77. „ნაპერწკალი“. 1906.
არის: 1906 წ. №1(?)– №2(17/IX)...?
(გვ. 23).
უნდა იყოს: 1906 წ. №1(7/VIII)–№2(17/IX).
80. „საყვირი“. 1907.
არის: 1907 წ. №1(10/I)– №4(18/I).
(გვ. 24).
უნდა იყოს: 1907 წ. №1(14/I)– №4(19/I).
82. „ჩვენი ცხოვრება“. 1907.
არის: „...გამოდოდა ქართულ ენაზე 1907 წლის 18 თებერვლიდან 7 მარტამდე ... სულ გამოვიდა 13 ნომერი...“
(გვ. 24).
უნდა იყოს: 1907 წ. №1(18/II)– №13(6/III).
84. „სინათლე“. 1907.
არის: „სოც.-დემ. მიმართულების ორგანო; გამოვიდა სულ ორი ნომერი“.
(გვ. 24).
უნდა იყოს: „...გამოვიდა სულ სამი ნომერი“.
არის: 1907 წ. №1(23/III) და №2(24/III).
უნდა იყოს: 1907 წ. №1(23/III), №2(24/III) და №3(25/III).
(გვ. 24).
85. „ლახვარი“. 1907.
არის: 1907 წ. №1(6/IV)–№45(4/VI).
(გვ. 24).
უნდა იყოს: 1907 წ. №1(6/IV)–№45(6/VI).
89. „ჩვენი სიტყვა“. 1907.
არის: 1907 წ. №1(19/VII)–№26(19/VIII).
(გვ. 25).
უნდა იყოს: 1907 წ. №1(19/VII)–№27(21/VIII).
91. „ჩვენი გზა“. 1907.
არის: 1907 წ. №1(2/IX)–№38(19/X)...39(?).
(გვ. 25).
უნდა იყოს: 1907 წ. №1(4/IX)–№38(21/X)...39(?).
92. „წყარო“. 1907.
არის: 1907 წ. №1(28/X)–№37(11/XII).
(გვ. 25).
უნდა იყოს: 1907 წ. №1(28/X)–№38(12/XII).
96. „ხუმარა“. 1907.
არის: 1907 წ. №1 (იანვარი).
(გვ. 26).
უნდა იყოს: 1907 წ. №1 (11 თებერვალი).

1907 წლის 17 თებერვალს გაზეთ „ისარში“ (N36, გვ. 2) დაიბეჭდა ამგვარი ცნობა: „გაზეთის დაკეტვა. კვირას, 11 თებერვალს ტფილისში გამოვიდა ყოველ კვირეული გაზეთი თავ. აკაკი

წერეთლისა „ხუმარა“. გაზეთი მეორე დღესვე დაკეტეს და მოხუცი პოეტიც დააპატიმრეს, შემდეგ ისევ განათავისუფლეს“.

1907 წლის 21 მარტს (3 აპრილს) გაზეთმა «Закавказье»-მ, სათაურით «Ответ газете «Новое время» (იხ.: N65, გვ. 2-3), გამოაქვეყნა აკაკი წერეთლის წერილი, რომელშიც დიდ შტოსანს აღნიშნული აქვს, რომ: „14-го февраля („ზაკავკაზიე“-ს რედაქციას აქ აშკარად კორექტურული ლაფსუსი აქვს დაშვებული. უნდა იყოს: «11-го февраля...» - გ.გ.) текущего года, с разрешения цензурного комитета, я выпустил №1 юмористической газеты «Хумара»... Газета разошлась шибко. Это было воскресенье (იგულისხმება 1907 წლის 11 თებერვალი - გ.გ.)».

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ „ხუმარა“ გამოსულა 1907 წლის 11 თებერვალს და არა იანვარში, როგორც ეს „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში“ არის შეცდომით მითითებული.

რაც შეეხება ხსენებულ ბიბლიოგრაფიაში „ხუმარა“-ს, ასე ვთქვათ, „თანმხლებ“ ანოტაციას, დაზუსტებას საჭიროებს მასში გაკეთებული შემდეგი შენიშვნაც: „იხ. აგრეთვე ცნობები „ხუმარას“ დახურვის შესახებ: „ისარი“ 1907 N37...“ საქმე იმაშია, რომ 1907 წლის 18 თებერვალს „ისარი“ (N37, გვ. 3) იუწყებოდა „ხუმარა“-ს არა კონკრეტულად დახურვის ამბავს, არამედ მკითხველს აცნობებდა, რომ: „...აკაკი წერეთელს ტფილისის გენ.-გუბერნატორმა ნება დართო განაგრძოს ყოველ კვირეული გაზეთის „ხუმარას“ გამოცემა“-ო.“

97. „ეკალი“. 1907.

არის: 1907 წ. №1(?)... და №2(?). უნდა იყოს: 1907 წ. №1[თებერვ.]... და №2[მარტი].

(გვ. 26).

98. „მასხარა“. 1907.

არის: „...პოლიტიკური სატირის კვირეული. გამოვიდა სამი ნომერი“.

(გვ. 26).

უნდა იყოს: „...გამოვიდა ოთხი ნომერი“.

არის: 1907 წ. №1 (უთარილო), №2 (უთარილო), №3 (24/VI).

(გვ. 26).

უნდა იყოს: 1907 წ. №1 (უთარილო), №2 (უთარილო), №3 (24/VI), №4 (1/VII).

102. „ნიშადური“. 1907-1908.

არის: 1907 წ. №1 (26/VIII)–№19(?). უნდა იყოს: 1907 წ. №1 (26/VIII)–№19 (25/XII).

(გვ. 26).

103. „ეკალი“. 1907-1908.

არის: 1907 წ. №1(6/X)–№7(?). უნდა იყოს: 1907 წ. №1(6/X)–№7(17/XI).

(გვ. 27).

111. „ცისკარი“. 1907.

არის: 1907 წ. №1(16/IX)–№11(25/XII). უნდა იყოს: 1907 წ. №1(16/IX)–№11(25/XI).

(გვ. 27).

“უფრო სრულყოფილად „ხუმარა“-ს გამოცემის თარიღის დადგენისა და მისი „ყოფნა-არყოფნის“ შესახებ გამოქვეყნებული ჩემი პუბლიკაცია, სათაურით „აკაკის მიერ დაარსებული გაზეთი „ხუმარა“-ს გამოცემის თარიღის დადგენისათვის“, იხ.: „ლიტერატურული საქართველო“, N10, 2017 წლის 17 მარტი, გვ. 11.

121. „ცხოვრების სარკე“. 1908.
არის: 1908 წ. №1(23/IV)– №23(20/V).
(გვ. 28).
უნდა იყოს: 1908 წ. №1(23/IV)– №24(21/IV).
129. „ეკალი“. 1908.
არის: 1908 წ. №1(23/VIII)– №32(9/IX)...?
(გვ. 29).
უნდა იყოს: 1908 წ. №1(23/VIII)– №32(9/X).
134. „შუქი“. 1908.
არის: 1908 წ. №1(7/XI)– №5(14/XI).
(გვ. 30).
უნდა იყოს: 1908 წ. №1(7/XI)– №5(12/XI).
137. „დროება“. 1908-1910.
არის: 1908 წ. №1] (7/XII).
(გვ. 30).
უნდა იყოს: 1908 წ. №1] (18/XI).
146. „მათრახი“. 1908, 1912-1915, 1920.
არის: 1914 წ. №1(?)–29(26/X).
(გვ. 31).
1915 წ. №1(?)– № 8(29/III)...?
(გვ. 31).
უნდა იყოს: 1914 წ. №1(1/I)– № 30(21/ XII).
უნდა იყოს: 1915 წ. №1(1/II)– №11(19/ IV).
153. „შინაური საქმეები“. 1908-1915.
არის: 1909 წ. №1(?)– №22(?).
(გვ. 32).
1911 წ. №1(?)– №35-38.
(გვ. 32).
1913 წ. №21, №2...?
(გვ. 32).
უნდა იყოს: 1909 წ. №1(4/I)– № 37(27/ XII).
უნდა იყოს: 1911 წ. №1(1/I)– № 39(11/XII).
უნდა იყოს: 1913 წ. №1(6/I)– №28(13/X).
157. „ჩვენი საქმე“. 1909.
არის: 1909 წ. №1(5/II)– №37(18/ IV).
(გვ. 32).
უნდა იყოს: 1909 წ. №1(5/II)– №38(19/ IV).
162. „მომავალი“. 1909-1910.
არის: 1910 წ. №104(1/I)– №127(?).
(გვ. 33).
უნდა იყოს: 1910 წ. №104(1/I)– №127(31/I).
163. „ერი“ 1909-1910.
არის: 1910 წ. №1(7/II)– №25(19/IX).
(გვ. 33).
უნდა იყოს: 1910 წ. №1(7/II)– №26(21/XI).
166. „სახალხო გაზეთი“. 1909-1914.
არის: 1911 წ. №198(?)– №489(31/XII).
(გვ. 33).
უნდა იყოს: 1911 წ. №198(1/I)– №489(31/XII).
175. „ერთობა“. 1909.
არის: 1909 წ. №1(1/I)... №2(11/I).
უნდა იყოს: 1909წ. №1(1/I)...№2(11/I)...№3(21/I); 12 გვ.
(გვ. 34).

„ერთობის“ მე-3 ნომერი დაცული იყო ყოფილ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის ბიბლიოთეკაში.

178. „კალა“. 1909

არის: 1909 წ. №5(8/1), №5(15/II).

(გვ. 34).

უნდა იყოს: 1909 წ. №5(8/1), №6(15/II).

187. „მათრახი და სალამური“. 1909-1910.

არის: 1909 წ. №1(12/IV)–№29(25/XII).

(გვ. 35).

უნდა იყოს: 1909 წ. №1(14/VI)–№29(25/XII).

ჟურნალის გამომცემლად მითითებულია ჰარ. ი. ოშიაძე, რაც შეცდომაა. 1909-1910 წლებში გამოსული „მათრახი და სალამურის“ ყველა ნომერს რედაქტორ-გამომცემლად მინიშნებული ჰყავს ე. ტურაბელიძე (1909 წლის პირველ სამ ნომერში არის ე. ტურაბელიძე, რაც კორექტურული ლაფსუსი უნდა იყოს), გარდა 1910 წლის №25-32-ისა. ამ ნომერებს რედაქტორ-გამომცემლად მითითებულია ნ. ს. სულხანიშვილი.

196. „ვარსკვლავი“. 1909-1910.

არის: 1909 წ. №1(1/VII)–№18(30/X).

(გვ. 36).

უნდა იყოს: 1909 წ. №1(1/VII)–№19(7/XI).

198. „ხალხი“. 1910-1911.

არის: 1910 წ. №1(4/I)–№16(25/IV).

(გვ. 36).

უნდა იყოს: 1910 წ. №1(4/I)–№16(26/IV).

199. „ახალი სხივი“. 1910.

არის: 1910 წ. №1(3/II)–№46(31/III).

(გვ. 36).

უნდა იყოს: 1910 წ. №1(4/II)–№46(31/III).

201. „სახალხო გაზეთი-სურათებიანი დამატება“. 1910-1914.

არის: 1912 წ. №86(1/I)–№137(?).

(გვ. 36).

უნდა იყოს: 1912 წ. №86(1/I)–№137(25/XII).

1913 წ. №138(1/I)–№189(?).

(გვ. 36).

უნდა იყოს: 1913 წ. №138(1/I)–№189(25/XII).

1914 წ. №190(1/I)–№211(25/V).

(გვ. 36).

უნდა იყოს: 1914 წ. №190(1/I)–№211(25/V);
№1(1/VI)–№30(21/XII).

205. „საქმე“. 1910.

არის: 1910 წ. №1(1/IX)–№46(18/XI).

(გვ. 37).

უნდა იყოს: 1910 წ. №1(1/IX)–№47(21/XI).

206. „სინათლე“. 1910-1911.

არის: 1911 წ. №3(1/I)–№9(11/I)...?

(გვ. 37).

უნდა იყოს: 1911 წ. №3(1/I)–№122(24/IX).

208. „თეატრი და ცხოვრება“. 1910, 1914-1920, 1923-1926.

არის: 1916 წ. №1(?)–№52(25/XII).

(გვ. 37).

უნდა იყოს: 1916 წ. №1(1/I)–№52(25/XII).

1918 წ. №1(?)–№16(22/XII).

(გვ. 37).

უნდა იყოს: 1918 წ. №1(1/I)–№16(22/XII).

214. „ოხუნჯი“. 1910.

არის: „ბიბლიოთეკებში არ მოიპოვება; მოხსენებულია „სახალხო გაზეთში“, 1910 წ. 26 დეკემბრის ნომერში №183“.

(გვ. 37).

ამ „გაზეთისა“ და მის შესახებ მითითებული შენიშვნის „საპასუხოდ“, 2015 წელს ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკაში“ (№4, გვ. 42-43), სათაურით „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში“ დაშვებული ერთი კაზუსის შესახებ“, გამოჯაჭვყვე შეძლევი კრიტიკული წერილი:

– „1947 წელს გამოცემული გიორგი ბაქრაძის ფუნდამენტური ნაშრომის „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის“ 37-ე გვერდზე არის:

„214. „ოხუნჯი“. 1910.

ბიბლიოთეკებში არ მოიპოვება; მოხსენებულია „სახალხო გაზეთში“, 1910 წ. 26 დეკემბრის ნომერში №183“.

პირდაპირ უნდა განვაცხადო, რომ ეს ინფორმაცია თავიდან ბოლომდე, ერთგვარ, კაზუსს წარმოადგენს, ვინაიდან, ჯერ ერთი, „ოხუნჯი“ მოხსენებულია აღნიშნული გაზეთის არა 26, არამედ 14 დეკემბრის ნომერში (იხ.:№183, გვ. 2), ხოლო მეორეც, მიუხედავად იმისა, რომ იგი დამოუკიდებელი ფორმატით არასდროს არ გამოცემულა, ჩვენს ბიბლიოთეკებში, კერძოდ–საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ის მაინც მოიპოვება და თუ როგორი „ფორმით“, ამის შესახებ მკითხველს ქვემოთ მოვასხენებ.

კვლევა–ძიებით დავადგინე, რომ „ოხუნჯი (საკვირაო გაზეთი)“, ჩვეულებრივი საგაზეთო რუბრიკის სახით, პირველად 1910 წლის 12 დეკემბერს, კვირას, გამოქვეყნდა „სახალხო გაზეთის“ 182-ე ნომრის მე-2 გვერდის განივ ერთ მესამედზე, რომლის შესახებაც 14 დეკემბერს, სამშაბათს, ხსენებულმა ორგანომ „ახალ ამბებში“ დაბეჭდა შემდეგი შენიშვნა: „კვირის ნომერში სამწუხარო შეცდომები შეგვეპარა. „ოხუნჯის“ რედაქტორ–გამომცემელი „აყვის“ (უნდა იყოს: „აყვის“–გ.გ.) მაგიერ უნდა ყოფილიყო „პირქუში აყვია“.

ამავე „ოხუნჯიში“ 606-ს უნდა ეწეროს „ტლინკაძე“, ხოლო „ახალ ამბებს“ – გარდანიქეშანი.

ჩვენი გავერელი კორესპონდენტი „გარიყული“ – ქ-ნი მ. გარიყული (ცნობილი მწერალი მარიამ თათიშვილი–რატიანისა – გ.გ.) არ არის“ (№183, გვ. 2).

როგორც ჩანს, გიორგი ბაქრაძემ თავის „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში“ მხოლოდ ამ შენიშვნაზე დაყრდნობით მიანიშნა „ოხუნჯის“ არსებობის ფაქტი ისე, რომ თავად ეს „გაზეთი“, განთავსებული „სახალხო გაზეთის“ 1910 წლის 18 დეკემბრის 182-ე ნომრის მე-2 გვერდზე, არც კი უნახავს, რამაც გამოიწვია კიდევაც, რბილად რომ ვთქვა, ის ლაფსუსი, რომელიც ამ უადრესად მაღალკვალიფიციურმა მკვლევარმა და პროფესიონალმა ბიბლიოგრაფმა, ნებისთ თუ შენეღიეთ, რომ დაუშვა.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ „ოხუნჯი“ სხვა არაფერია, თუ არა „დაუნომრავი გაზეთი გაზეთში“ – „სახალხო გაზეთის“ მიერ „შეკედლებული“, ერთგვარი, სატირულ–იუმორისტული „შეიღობილი“, რომელსაც ხსენებული ორგანოს თანამშრომლები და ჟურნალისტებივე აზზადებდნენ გამოსაქვეყნებლად და რომელიც, 1910 წლის 12 დეკემბრის გარდა, კიდევ ორჯერ გამოშეურდა აღნიშნული გაზეთის ფურცლებზე. კერძოდ, მეორედ იგი მკითხველმა მიიღო 1910 წლის 19 დეკემბერს, კვირას (იხ.:№188, გვ. 2-3), ხოლო მესამედ – 1911 წლის 9 იანვარს, ასევე კვირას (იხ.:№203, გვ. 2). „ოხუნჯის“ პირველი „ნომრის“ რედაქტორ–გამომცემლად მითითებულია „აყვია“, მომდევნო ორის „თავკაცად“ კი – „პირქუში“. რაც შეეხება ამ „გაზეთის“ ხილვის შესაძლებლობას, დანატერესებული მკითხველი ამას თავისუფლად მოახერხებს ჩვენში ფუნქციონირებად ყველა იმ ბიბლიოთეკაში, სადაც კი დაცულია „სახალხო გაზეთის“ ზემოდასახელებული ნომრების ეგზემპლარები.

დასასრულ, დასკვნის სახით, უნდა განვაცხადო, რომ ჩემი კრიტიკული მსჯელობიდან გამომდინარე, ვფიქრობ, უპრიანი იქნება, თუ „ოხუნჯი“, როგორც არარსებული „დამოუკიდებელი საკვირაო გაზეთი“, „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის“ ანალოგი, შევსებულ და უფრო „დახვეწილ“ გამოცემაში, რაც, უკვე კარგა ხანია დგას დღის წესრიგში, აღარ იქნება შეტანილი, ხოლო იმ მიზნით, რომ იგი სულ არ „დაიკარგოს“ ჩვენი თვალსაწიერიდან, მისი „არსებობის“ თაობაზე გაკეთებული პატარა ცნობა უნდა დამატოს ხსენებულ ბიბლიოგრაფიაში „სახალხო გაზეთის“ (1909-1914) შესახებ არსებულ აღწერილობას, რაც ჩემი აზრით, სავსებით საკმარისი იქნება მის „შესანარჩუნებლად“.

ვიმედოვნებ, რომ ჩემს ამ მოსაზრებას გაიზიარებენ და მხარს დაუჭერენ ბიბლიოგრაფები და საბიბლიოთეკო საქმის სპეციალისტები, რის საფუძველზეც „ოხუნჯს“ უნდა „ჩამოერთვას“ აქამომდე შენარჩუნებული „დამოუკიდებელი გაზეთის“ სტატუსი.

226. „თემი“. 1911-1915.

არის: 1911 წ. №1(1/1)-№51(20/XII).

უნდა იყოს: 1911 წ. №1(10/1)-№51(25/XII).

(გვ. 38).

227. „ცოდნა“. 1911.

არის: 1911 წ. №1(16/1).

(გვ. 38).

1943 წელს გამოქვეყნებულ „ქართული გაზეთების ბიბლიოგრაფიაში“ არის: №1(1/II)-№33(11/III). (იხ.: „პროლეტარული რევოლუცია“, №3, 1943, გვ. 163).

231. „სახალხო საქმე“. 1911.

არის: 1911 წ. №1-№9.

უნდა იყოს: 1911 წ. №1(16/IV)-№9(27/IV).

(გვ. 39).

232. „დილა“. 1911.

არის: 1911 წ. №1(6/XI)-№31(?).

უნდა იყოს: 1911 წ. №1(6/XI)-№31(14 XII).

(გვ. 39).

235. „სალამური“. 1911.

არის: 1911 წ. №1(1/1)-№19(3/VII)...? თით. 8 გვ. უნდა იყოს: 1911 წ. №1(1/1)-№20(10/VII);

(გვ. 39).

თით. 16 გვ.

241. „კოლპერაცია“. 1911-1919, 1923-1924.

არის: 1914 წ. №1-№4-5.

უნდა იყოს: 1914 წ. №1(5/II)-№5(17/II).

(გვ. 40).

242. „მნათობი“. 1911.

არის: 1911 წ. №1(14/VIII)-№85(23/XII).

უნდა იყოს: 1911 წ. №1(14/VIII)-№86(30/XI).

(გვ. 40).

247. „ბათუმის გაზეთი“. 1911-1914.

არის: 1914 წ. №1(1/1)-№55(13/VII).

უნდა იყოს: 1914 წ. №1(1/1)-№61(29/VII).

(გვ. 40).

249. „ჩვენი დროება“. 1912-1913, 1915.

არის: 1913 წ. №1(1/1)-№44(20/II).

უნდა იყოს: 1913 წ. №6(1/1)-№44(20/II).

(გვ. 40).

266. „სასოფლო გაზეთი“. 1912-1918.

არის: 1912 წ. №1(25/XI)– №6(?).


(გვ. 42).

1913 წ. №7(?)–№53(25/XII).

(გვ. 42).

უნდა იყოს: 1912 წ. №1(25/XI)– №6(30/XII).

უნდა იყოს: 1913 წ. №7(6/1)–№53(25/XII).



267. „შრომის კავშირი“. 1912-1913.

არის: „[ყოველთვიური საკოოპერაციო ჟურნალი]“.

(გვ. 42).

უნდა იყოს: „[ყოველკვირეული საკოოპერაციო ჟურნალი]“.

1912 წ. №1(?)–№5(2/XII); თით. 16 გვ.

უნდა იყოს: 1912 წ. №1(11/XI)–№5(2/XII); თით. 18 გვ.

1913 წ. №6-7; 20 გვ.

(გვ. 42).

უნდა იყოს: 1913 წ. №6-7[10/II]; 22 გვ.

277. „ქართლი“. 1912-1913.

არის: 1912 წ. №1(24/VI)– №70(?).

(გვ. 43).

უნდა იყოს: 1912 წ. №1(24/VI)– №70(30/XII).

1913 წ. №71(?)–№80(24/II).

(გვ. 43).

უნდა იყოს: 1913 წ. №71(1/1)–№80(24/II).

279. „ახალი აზრი“. 1913-1915.

არის: 1913 წ. №1(14/VII)– №33(12/XI).

(გვ. 43).

უნდა იყოს: 1913 წ. №1(14/VII)– №35(14/XI).
